პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 ხუთშაბათი 30 იანვარი № 25 (16151) ფასი 2 კაპ. 1975

ყოველი დღე აღვნიშნოთ ახალი წარმატებებით!

დევიზი: გამოვუშვათ მეტი, უკეთესი პარტიის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

ხუთწლედის 1975 დასკვნითი

ეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის ბრძოლაში შრომითი კოლექტივების, თვითეული საბჭოთა ადამიანის წინაშე კონკრეტული ამოცანები დგას. და მეტად საჭიროა, რომ ეს ამოცანები წყდებოდეს დროულად, კეთილსინდისიერად, საქმის ცოდნით. უნდა ვესწრაფოდეთ იმას, რომ თვითეული შრომობდეს მუყაითად, შემოქმედებითად, იცავდეს შრომის, სახელმწიფო დისციპლინას, იჩენდეს მაღალ მოვალეობრივ ინიციატივას და ამხანაგებისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

თბილისის ახალი მიჯნები

დედაქალაქის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა, რომლებიც ისწრაფვიან ღირსეულად აღნიშნონ მეცხრე ხუთწლედის დამთავრებელი წელი და მაღალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს, აწონ-დაწონეს თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი და იკისრეს 1975 წლის შემდეგი ვალდებულებანი:

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის. სახელმწიფო დავალების გადაჭარბებით დაამზადონ და გაასაღონ 40 მილიონი მანეთის პროდუქცია. მიმდინარე წელს ინ მთლიანად ხუთწლეულში პროდუქციის გამოშვების მატება ძირითადად მიიღონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

სახელმწიფო დავალებათა გადაჭარბებით გამოუშიან 20 ლითონსაჭრელი ჩარხი, ერთი მოდერნიზებული ელმავალი ელ-22 ნ, 10 ერთეული სამსხმელო მოწყობილობა, 4 ერთეული ყურძნის გადასამუშავებელი მოწყობილობა, ათობით ანალიზური ხელსაწყო; 250 ტონა ფოლადის ოა 200 ტონს თუჯის სხმული, 250 ათასი ცალი სილიკატური აგური, ასეულათასობით მანეთის სატელეგრაფო აპარატურა, 40 ათასი მეტრი აბრეშუმის და 33 ათასი მეტრი შალის ქსოვილები, 500 ათასი კვადრატული დეციმეტრი ხისტი და 50 ათასი კვადრატული დეციმეტრი ქრომის ტყავსაქონელი, 60 ათასი წყვილი ოეხსაცმელი, მილიონი მანეთის შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმი, 96 ათასი წყვილი წინდა, 150 ტონა დაფასოებული ჩაი, 20 ათასი დეკალიტრი კონიაკი, ათასი დეკალიტრი ღვინო, 200 ათასი ბოთლი შამპანური, აგრეთვე ბევრი სხვა სახეობის პროდუქცია.

მნიშვნელოვნად გააფართოონ სახალხო მოხმარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება ყველა დარგის საწარმოებში. გააუმჯობესონ მათი ასორტიმენტი და ხარისხი.

აითვისონ და გამოუშვან სულ ცოტა 500 ახალი უფრო სრულყოფილი ტიპისა და მოდელის მანქანა, ხელსაწყო, მასალა, ფართო მოხმარების ნაწარმი, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს და საუკეთესო საბჭოური და საზღვარგარეთული ნიმუშების დონეს.

დაიჩარონ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ტემპი, გაუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია და წარმოების მართვა მეცნიერულ საფუძველზე, ფართოდ დანერგონ წარმოებაში ორგანიზაციული და გამოსათვლელი ტექნიკის, ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებანი. განახორციელონ შრომატევად ხელის ოპერაციათა. დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა შემდგომი მექანიზაციის ღონისძიებანი. ამამდქმედონ სულ ცოტა 30 ავტომატური, ნახევრადავტომატური, ნაკადურ-მექანიზებული და კონვეიერული ხაზი, 500 ერთეული ახალი მაღალი წარმადობის მოწყობილობა, განახორციელონ 350-ზე მეტი ჩარხისა და აგრეგატის მოდერნიზაცია.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები დაუცხრომლად იბრძოლებენ პროდუქციის ხარისხის, გარეგანი გაფორმებისა და შეფუთვის ყოველნაირად გაუმჯობესებისათვის. მისი საიმედოობისა და ხანგამძლეობის გადიდებისათვის, წუნით გამოწვეული დანაკარგების მაქსიმალური შემცირებისათვის. საქარხნო და სტანდარტული მარკის ღირსებისათვის, ფართოდ დანერგავენ პროდუქციის უდეფექტო დამზადებისა ოა პირველი წარდგენით ჩაბარების სისტემას. მოამზადებენ და ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე საატესტაციოდ წარადგენენ სულ ცოტა 60 სახეობის სამრეწველო პროდუქციას. მნიშვნელოვნად გააფართოებენ უმაღლესი კატეგორიის ნაკეთობათა წარმოებას.

თბილისელი მშრომელები გააძლიერებენ სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი საშეფო დახმარებას.

სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ 27 დეკემბერს დაამთავრონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური პროგრამა: ფამატებით შეასრულონ 4 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; გეგმის გადამეტებით გადასცენ საექსპლოატაციოდ 15 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

ობიექტები საექსპლოატაციოდ გადასცენ ძირითადად „ჩინებული“ და „კარგი“ შეფასებით.

მშენებლობის ტექნიკური დონის ამაღლების, მოწინავე მეთოდებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის გზით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება 0,5 პროცენტით გეგმასთან შედარებით. მნიშვნელოვნად შეამცირონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება.

სატრანსპორტო ორგანიზაციათა კოლექტივებმა იკისრეს ტვირთბიდვის საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისა და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების ვალდებულებანი.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ ვადამდე, 30 დეკემბერს შეასრულონ ტვირთბრუნვის წლიური გეგმა. მოგების გეგმას გადააჭარბონ 1,5 პროცენტით და მიიღონ 245 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმა და დამატებით გაუწიონ მოსახლეობას 50 ათასი მანეთის მომსახურება. 1,5 პროცენტით გაადიდონ გეგმის დამატებით შრომის ნაყოფიერება საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

საქალაქო მეურნეობის საწარმოთა და სამსახურთა მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ ვადამდე, 27 დეკემბერს შეასრულონ წლიური გეგმა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით.

ზადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების, სასწავლებლების, სამედიცინო დაწესებულებების კოლექტივებმა, კულტურის, შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და სანახაობითი დაწესებულებების მუშაკებმა.

* * *

თბილისელები ვალდებულებას კისრულობენ დაუცხრომლად, ყოველდღიურად იბრძოლონ იმისათვის, რომ გადააქციონ რესპუბლიკის დედაქალაქი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად.

თბილელი მშრომელები, რომლებიც 1975 წელს განაგრძობენ ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებას მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქების — ბაქოს, ერევნისა და რიგის მშრომელებთან, აგრეთვე შეუწყობენ ხელს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და გაღრმავებას, საბჭოთა ადამიანების უფრო მეტად შეკავშირებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

(საქინფორმი).



ქალაქ მოსკოვის პროპაგანდისტთა აქტივის კრება

დედაქალაქის პროპაგანდისტთა არმია ასი ათასზე მეტი კაცისაგან შედგება. 28 იანვარს სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტში გაიმართა ქალაქის პროპაგანდისტთა აქტივის კრება. კრების მონაწილეებმა განიხილეს იდეოლოგიურ მუშაკთა ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან და 1975 წელს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. ნ. იაგოდკინმა. მან განაცხადა, რომ მოსკოვის შრომითს კოლექტივებში იბადება ახალი შემოქმედებითი თაოსნობანი და წამოწყებანი, რომლებიც ხელს უწყობენ მშრომელთა დარაზმვას პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის საბრძოლველად. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ იდეოლოგიურ კადრებსაც. ბევრმა პროპაგანდისტმა შეიმუშავა და ახორციელებს ბრად შემოქმედებითს, გეგმებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სწავლების ქმედითობის ამაღლებას, ცხოვრებასთან, კომუნისტურ შეხედულებასთან მისი კავშირის განმტკიცებას. მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის პროპაგანდისტები გამოვიდნენ პატრიოტული მოწოდებით — პროპაგანდისტის ცოდნა, იდეური სიმტკიცე, ორგანიზატორული უნარი მოვახმაროთ მეცხრე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებას.

კრებაზე გამოსულებმა შეკრებილთ გაუზიარეს პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება, ილაპარაკეს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში პროპაგანდისტების როლის შემდგომი ამაღლების გზებზე. მხურვალედ მოიწონეს ილიჩერთა ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს მშრომელთა დარაზმვას მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ყველა პროპაგანდისტისადმი. მიმართვაში ისინი მოუწოდებენ პროპაგანდისტებს უფრო ეფექტიანად გამოიყენონ თავიანთი ოსტატობა, ორგანიზატორული ნიჭი მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის. (საკდესი).

„სალუტ-4“: ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 29 იანვარი. (საკდესი). კოსმონავტებმა ალექსი გუბარევმა და გიორგი გრეჩკომ შეასრულეს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე სამუშაო დღეების პროგრამა „სალუტ-4“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურში.

ასტროფიზიკური ექსპერიმენტების დროს მოეწყო სხვადასხვა ციური სხეულის რენტგენული გამოსხივების მახასიათებელთა შემდგომი კვლევა.

ინფრაწითელი ტელესკოპ-სპექტრომეტრის საშუალებით აღრიცხებოდა მთვარისა და დედამიწის გამოსხივება სპექტრის ინფრაწითელ სფეროში. ინფრაწითელი ტელესკოპ-სპექტრომეტრის მგრძნობიარე ელემენტის საჭირო ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნებისათვის იყენებენ ღრმა გაცივების ავტომატურ სისტემას — ხაცვის სუბლიმაციურ აკუმულატორს. ამასთანავე ფრენის მსვლელობაში ეწყობა თბო-მასცელის კვლევა უწონობის პირობებში.

პროგრამის შესაბამისად გრძელდება ტექნიკური ექსპერიმენტები კოსმოსური ნავიგაციის საშუალებებისა და მეთოდების დამუშავებისათვის.

კოსმონავტთა მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების შესაბამისად საადგურის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები გუბარევი და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ. „სალუტ-4“ სადგურის ფრენა გრძელდება.

მიფრინავს „კოსმოს-705“

1975 წლის 28 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-705“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ამ დღეების გმირები

ხუთდღიური — ოთხ დღეში

ეზვინარ გობრონიძე თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ ორი წლის წინათ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა. ამ მოკლე ხნის მანძილზე იგი სრულყოფილად დაეუფლა მაორფესლის პროფესიას და კარგ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს. იგი ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებს. მოწინავე წარმოების მუშაკი დიდ დროს უთმობს საზოგადოებრივ მუშაობასაც — არის კომბინატის კომკავშირის კომიტეტის წევრი.

ახალგაზრდა წარმოების მუშაკი ახლახან სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს.

სურათზე: მოწინავე მუშა მ. გობრონიძე.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქალაქი — სოფელს!

ურემონტებენ ტექნიკას

თბილისი. შარშან ბოლნისის ღვინის ქარხანაში აშენდა ახალი მექანიკური საამქრო. ეს კარგი სახუქარი მეღვინეებს რთველის სეზონისათვის მზადების დღეებში გადასცა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლო (დირექტორი კ. კოლაძე) ქარხნის კოლექტივმა.

აგერ უკვე მეხუთე წელია მანქანათმშენებლები ბოლნისელ მეღვინეებს შეფობენ.

წლეულს შეფის გეგმები იზრდება, ღვინის ქარხანასთან ერთად მანქანათმშენებლები საშეფო დახმარების ხელს გაუწვდიან ამავე რაიონის ყულარის საბჭოთა მეურნეობას, რომელსაც სასოლოო სამეურნეო ტექნიკის რემონტი უჭირს. ცხადია, ამით მეღვინეებს ყურადღება არ მოაკლდებათ. სრულ წესრიგში იქნება ღვინის ქარხნის მოწყობილობა რთველის სეზონის წინ, — ასეთ ვალდებულებას კისრულობენ მანქანათმშენებლები. (საკ. კორ.).

აწვდიან აღჭურვილობას

ბათუმი. (საკ. კორ.). მანქანათსამშენებლო ქარხანაში აწყდება ჩაის ფაბრიკების საჭირო სრული ტექნიკური აღჭურვილობა. ამჟამად საწარმოში გრაფიკის გასწორებით იწყობა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის ჩაის ფაბრიკისათვის განკუთვნილი ნაკადური ხაზი, გარდა ამისა, უნდა დამზადდეს საღნობი აგრეგატები, კალორიფერები და საშრობი ღუმელები. ქარხნის მემონტაჟეთა ბრიგადამ ნ. ქერიდის ხელმძღვანელობით იანვრის მეორე დეკადაში ვადამდე ახალი მანქანები დაამონტაჟეს.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25 წლისთავის გამო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. **კოსიგინმა** ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ **ფამ ვან დონგს** გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25 წლისთავის გამო.

განვლილი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ნათქვამია დეპეშაში, ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობამ დიდი და შესანიშნავი გზა განვლო. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ ერთობლივი მეცადინეობის შედეგად მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე დამყარებული საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობა ნამდვილი ძმობის, მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის მაგალითია. ამ ურთიერთობის განუხრელი განმტკიცება და განვითარება დიდმნიშვნელოვანი წვლილია სოციალისტურ თანამეგობრობის, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებას კეთილშობილურ საქმეში.

თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული საბჭოთა ადამიანები მხარში ედგნენ გმირ ვიეტნამელ ხალხს მისი თანამედროვე ისტორიის ყველა ეტაპზე — კოლონიზატორებისა და იმპერიალისტური აგრესორების წინააღმდეგ ძამაკური ბრძოლის წლებშიც და მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის პერიოდებშიც. საბჭოთა ხალხი კვლავაც დაეხმარება თავის ვიეტნამელ ძმებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტურ მშენებლობაში, პარიზის შეთანხმების ზუსტი და განუხრელი შესრულების უზრუნველყოფაში და ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანებისადმი თანდათანრმდინი წინსვლის კეთილნაყოფიერი პირობების შექმნისათვის ბრძოლაში.

(საკდესი).

სამშობლოში გაემგზავრნენ

28 იანვარს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. აქსენი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ფიშერი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ჰ. მარკოვსკი, რომლებიც საბჭოთა კავშირში მეგობრული სამუშაო ვიზიტით იყვნენ.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგები ჰ. აქსენი, ო. ფიშერი და ჰ. მარკოვსკი გაიცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. თ. კატუშევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწემ კ. ვ. რუსაკოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ჰ. ოტი. (საკდესი).

ჯილდოები გადაეცათ

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის, სასტუმრო ტრიბუნების, კრემლის კოშკებისა და კედლების რეკონსტრუქციის სამუშაოთა ვადამდე შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

28 იანვარს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა ამ დიდი ჯილდოების გადაცემა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ს. ბ. ნიაზბეკოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ დაჯილდოებულთ ორდენები და მედლები გადასცეს და გულთბილად და გულითადად მიულოცეს, უსურვეს ჯანმრთელობა, ბედნიერება და ახალი წარმატებები მუშაობაში.

დაჯილდოებულებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესს საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავიანთი შრომის დიდი დაფასებისათვის. მათ აღუთქვეს პარტიისა და მთავრობას, რომ ძალონისა და ცოდნას არ დაიშურებენ შეეხრე ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. (საკდესი).

სირიაში ა. ა. გრომიკოს ვიზიტის გამო

ფილოფული შეთანხმების შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მიმდინარე წლის 1-3 თებერვალს მეგობრული ვიზიტით ეწვევა სირიის არაბთა რესპუბლიკას.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საცნობარო-საბიბლიოგრაფიო საქმის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, **საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. კოტრიკაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1975 წლის 27 იანვარი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ჯილდოები ქართველებზე

28 იანვარს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში დ. ჟულევმა სპატაკო სიგელები გადასცა საბჭოთა კავშირის მოღვაწეებს ტელევიზიისა და რადიოს ... რედაქციებს. ეს ჯილდოები მათ იმისათვის მიენიჭათ, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ გასული წლის დამლევს მოსკოვში მოწყობილი საიუბილეო გამოფენის — „ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა — 30 წელი სოციალიზმის გზით“ — გაშუქებაში.

შეხვედრაზე იყვნენ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი მ. ვ. ზიმიანინი და გაზეთ „რაბოტნიჩეკი დელოს“ მთავარი რედაქტორი გ. ბოკოვი.

(საკდესის კორ.).

შენ, საშუალოვ, ჩვენი მხედრული შრომა

იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საარმიო თათბირი

29 იანვარს მოსკოვში დამთავრდა იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საარმიო თათბირი. ამ საქმიანი შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალ ა. ა. გრეჩკოს მოხსენება „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები“ და „სსრ კავშირის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

თათბირზე მოთავეობენ ათობით მაგალითი, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა ჯარისკაცების, მატროსების, ოფიცრების მამაცობასა და დიდ მხედრულ ოსტატობას, მათ ერთგულებას სამშობლოსა და მოვალეობისადმი, დისციპლინურობასა და ორგანიზებულობას, ძლასობრივ შეურიგებლობას სოციალიზმის მტრებისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი.

გამმართა სექციების სხდომები. მათს მუშაობას ხელმძღვანელობდნენ მხედართმთავრები და სამხედრო საბჭოების წევრები — შეიარაღებული ძალების გვარეობათა პოლიტსამმართველობის უფროსები.

თათბირზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ა. ა. გრეჩკომ.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისადმი, პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისადმი. ყველა იდეოლოგიური მუშაისადმი.

დიდი აღმავლობით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც თათბირის მონაწილეებმა აღუთქვეს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომუნისტები და კომკავშირელები, ყველა საბჭოთა მეომარი კვლავაც უანგაროდ ემსახურება ხალხს, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, სოციალისტური სამშობლოს უშიშროების განმტკიცებისათვის. საბჭოთა შეიარაღებული ძალები მუდამ მზად არიან კომუნისტური პარტიის პირველი მოწოდებისთანავე დაიცვან ჩვენი საყვარელი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრები, პირნათლად მოიხადონ პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი.

(საკ.ფოსა).

ბოიკოტის ბეჭედი

სამხრეთ ოსეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

ცხინვალი. (სინ-ფორმის კორ.). გაიმართა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიულ-საქეურნეო აქტივის კრება. საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა გააკეთა მოხსენება „1974 წლის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შეჯამებები და ოლქის პარტიულ ორგანიზაციათა 1975 წლის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა შესაბამისად“.

კრებაზე გამოვიდნენ პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი უ. სანაკოევი, ლენინგორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ხ. ბედოევი, ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ა. კოჩიევი, საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. კოტოევი. ცხინვალის ქარხანა „ელექტროდენის“ დირექტორი ი. ბეკოევი და სხვები.

ავტონომიური ოლქის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა ვადამდე, 1974 წლის 25 დეკემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფო გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ამასთან პროდუქციის ნამატის 98 პროცენტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

კრებაზე აღინიშნა, რომ შარშან ოლქის მეურნეობებში შესამჩნევად გაიზარდა მინდვრების მოსავლიანობა. და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამის შედეგად სამხრეთ ოსეთის კოლეგურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ხილის, ყურძნის, ხორცის, რძის, კვერცხის მიყიდვის 1974 წლის გეგმები.

ამასთან, კრებაზე საქმიანი, პრინციპული სკკ-ბიასი გაიმართა იმის შესახებ, რომ ავტონომიური ოლქის ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანო, ბოიკოტი, ბროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ღრმად არ ერკვევიან საწარმოთა ეკონომიკაში. მთელ რიგ შემთხვევებში პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ უყაირათობის, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. შემწყნარებლობას იჩენენ ფორმალიზმის ელემენტებისადმი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში.

ოლქის ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია შრომის ორგანიზაციის დონე, რაციონალურად არ იყენებენ მიწას, ტექნიკას, ორგანულ და მინერალურ სასუქებს. ამის შედეგად იღებენ ნაკლებ ეკონომიკურ ეფექტს. ცალეულისა და სხვა კულტურების დაბალ მოსავალს, მეცხოველეობის [illegible] ცენტრალური [illegible] რუტყვის პროდუქტიულობა [illegible] მეცხოველეობა, [illegible] ბინისა [illegible] ტონა [illegible] ბაბოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთელიანად ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულების შესახებ.

კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს წელსაც განაგრძონ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება მომძლე ახალგაზრდობა სსრ მიიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქისა და აფაზეთის ასსრ მშრომელებთან.

ბოიკოტის ბეჭედი



ამას წინათ მწყობრში ჩადგა გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მეორე რიგი. მისი წარმადობა წელიწადში 3.400 ტონა ხორცია. ფაბრიკას აქვს 43 ახალი საფრინველე, თვითეული 20 ათასი ბროილერისათვის. აგი ყოველდღიურად რესპუბლიკის დედაქალაქს გაუგზავნის 8 ტონამდე ფრინველის ხორცს. მძლავრ ინკუბატორებში ყოველწლიურად 5,4 მილიონი წიწილა გამოიჩეკება.

სურათზე: მეფრინველეობის ფაბრიკის სანაშენე განყოფილება.

ი. დავითაშვილისა და ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

დამაფიქრებელი შედეგები

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახიძე.

„დამაფიქრებელი შედეგები“ — ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო № 1 სამშენებლო ტრესტი, რომელიც შარშან ცხრა თვეში ბინათმშენებლობაში ჩამორჩებოდა.

ამ წერილის გამო პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიძემ რედაქციას აცნობა:

პარტიის საქალაქო კომიტეტმა სპეციალურად შეისწავლა ბინათმშენებლობის საკითხი. ბიუროს დადგენილებით დასახული იქნა კონკრეტული ღონისძიებები ჩამორჩენის დასაძლევად. კერძოდ განვსაზღვრეთ თვითეული საცხოვრებელი სახლის ჩაბარების დრო, მიღებულ იქნა სათანადო ზომები მშენებარე სახლების საშენი მასალებითა და რკინა-ბეტონის ნაწარმით დროულად უზრუნველყოფისათვის.

ბიუროს დადგენილებით თვითეული მშენებარე საცხოვრებელ სახლზე სამშენებლო ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად მომაგრებული იქნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრები, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები.

პარტიის საქალაქო კომიტეტისა და № 1 სამშენებლო ტრესტის მიერ მიღებული ზომების შედეგად მიღწეულია სასურველი შედეგები. საბანაო მშენებლობაზე შარშანდელი წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მეტალურგებისა და ქიმიკოსების ქალაქის მცხოვრებლებმა 78.640 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს, რაც დაკმაყოფილებას აღემატება.

ბარისხი — უპირველესი საფრთხე!

როცა ინიციატივა იბადება

ასე იბრძვის უდიდესი პროდუქციის გამოშვებისათვის ცხინვალის ორ კავშირის ნი ფლისთავის სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს კოლექტივი.

დასასრულს მიუახლოვდა ხუთწლედის მეხუთე, დამამთავრებელი წლის პირველი თვე. აღებული ტემპი, რომლითაც თბილისის ორ სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს კოლექტივი შეუდგა შრომას, მაღალი და მყარია. აქაური ადამიანები მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. მათ იციან, რომ წელს, როგორც არასდროს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

დღეს ქარხანაში ბევრია ისეთი მუშა, რომელიც პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს და ზრუნავს საკუთარი ნახელავის მაღალი ხარისხისათვის. ბევრი მათგანი „პირადი დამღით“ მუშაობს, უდაფიქტო პროდუქციის უშვებს. ასეთია რიცხვში ირიან მაჯალითად, კომუნისტური შრომის დამკრეფლები ძმები თენგიზ და ვახტანგ ბერელაძეები, ამწყობ-ზეინკალი ნ. ოლეხნო, მოდარეები ე. ირინინი, ნ. მაზიაშვილი და მრავალი სხვა.

ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილემ დავით ლუკაშვილმა საუბარში აღნიშნა, რომ შარშან გაერთიანების სათავო საწარმოს რეკლამაციები არ მიუღია. ეს იმის გამოც მონდა, რომ მაღალი იყო მომთხოვნელობა, კონტროლი. მაგალითად, ადმინისტრაციული სასელი დადგა № 33, № 47 და № 49 სამჭროების უფროსებს, რომლებმაც შეასუსტის მომთხოვნელობა და გაუშვეს წუნი — კიდევ კარგი, რომ მოვახერხეთ ბრალდებ არ მივიდა დეფექტიანი პროდუქცია. მაგრამ ეს იყო შარშან, წელს ასეთი თაქი აღარ უნდა განმეორდეს. იქნება ტემპიც, ხარისხიც, — ასეთია ახალი შეჯიბრების დევიზი.

ქარხანაში შარშან, ბოლო კვარტალში დაწყებული პროდუქციის ხარისხისათვის დაწყებული ლაშქრობა-დათვალიერება წელსაც გრძელდება და მას უფრო მეტი გასაქანი მიეცა. საგანგებოდ შექმნილი კომისია, რომელშიც გაერთიანებული არიან ქარხნის ხელმძღვანელნი მუშაკები, ხალიფიციური მუშები ყოველმხრივ სწავლობს და ეძებს რეზერვებს პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მალე ამ წყობაში ჩადგება ახალი კონვეიერული საამქრო, სადაც ავტომატები 30 ათაცს გამოათავიან-სუფლებენ, ამასთან ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, შემცირდება თვითღირებულება. მექანიკურ საამქროში დამონტაჟდება პროგრამული მართვის მანქანები, რომლებიც აგრეთვე გაუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. არანაკლებ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს უნივერსალური სამარჯვების დანერგვაც, რომელთა გამოყენებას ახლა ეუფლებიან. თუ აქამდე ერთ კვანძზე ხუთი სამარჯვის გამოყენება იყო საჭირო, ახლა ყველა ოპერაცია ერთი უნიფიცირებული სამარჯვით შესრულდება.

ქარხნის მოწინავე ადამიანებს კარგად ესმით, რომ ტექნიკური პროგრესის ამაღლებასთან ერთად, საჭიროა მუშათა კვალიფიკაციის და შრომითი შეგნების მაქსიმალურად ამაღლება, ყველა უბანზე ამა თუ იმ მოწინავე მეთოდის და პროგრესული გამოცდილების წარმატებით დანერგვა. თვითეული მუშა-ინჟინრის პასუხისმგებლობის ამაღლება მინდობილი საქმისათვის.

მაგრამ ჯერჯერობით წარმოების ყველა უბანზე წარმატებით როდი ჭრიან ამ საკითხებს. აი რა თქვეს წარმოების მოწინავე ადამიანებმა.

ბ. კენჭოშვილი — № 46 საამქროს ზინაკალი: საჩამოსხმელო საამქროში წნეხფორმები ძველ მანქანებზია დამონტაჟებული, ამიტომ ხშირად გამოდის მანქანა წყობიდან. ცდებიან მუშები, იკარგება ძვირფასი დრო. დეტალის დამზადების პროცესი ირღვევა და ამიტომაც შემდგომ ეწყება ე. წ. „იერიშობანა“, ასეთ დროს, ცხადია, ხარისხზე ლაპარაკი ზედმეტია.

მართალია, ჩვენი საამქროს ტექნოლოგიური ჯგუფი დღითიდღე აუმჯობესებს ტექნოლოგიურ პროცესებს, მაგრამ ხდება ისეც, რომ ნახაზის მიხედვით დამზადებული დეტალი დეფექტიანია და საამწყობო საამქროში მისვლის შემდეგ აწუნებენ. იყო ასეთი შემთხვევა: დავამზადე დეტალი და მეუბნებიან, რომ ჩემი ნახელავი უვარგისია. რა თქმა უნდა, გამოკვირდა და ძალიან შემრცხვა კიდეც, რადგან საქმე არ იყო მაინცდამაინც რთული, ვიცოდი, სიზუსტე ნამდვილად დავიცავ. ავიღე ნახაზი და ალაზონდა, რომ ყველაფერი ზუსტად გამეკეთებინა. ოღონდ დეტალი მაინც არ გამოვიდა...

მეზობელ მიმანაზი საიარაღო საამქროში შეიქმნა გამომცდელთა ჯგუფი, რომლებიც წნეხფორმებს, სამარჯვეებს. მკრეტებს წინასწარ გამოცდიან, და ადგენენ მათს ვარგისიანობას.

ო. დვალი — № 3 საამქროს მოარავი: არის შემთხვევები, როცა მუშები ოპერატიულად არ წარუდგენენ პირველ დეტალს უნინ ოსტატს, ან კონტროლიორს. მერე საქმე „აროდებან“ და ისინი ეიღარ ასწრებენ ბოლომდე შეამოწმონ მზა პროდუქცია. მუშა კი განაგრძობს შრომას დოეტალებით, შეუმოწმებელი ნიმუშით...

ხელს გიშლის სივიწროვე და უსოთოობა. საღარავ უბანზე ჩარხები ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგიდები პატარაა. ზეო დეტალებსაც ვაწყობთ და ნახაზებსაც, ნახაზები კი გვიჩუჩუანდება და მერე ძნელია რიგის გარჩევა...

კარგია, რომ კვირაში ერთხელ ხარისხის დღეს ვატარებთ. მაცოცხალ ვკიცხავთ წონდებული პროდუქციის ოამბოზალებს. მაგრამ დათბუნ დიდხანს რომ ჰკონია ხელმე ერთი და იგივე დაწონებული პროდუქცია. ეს, არ ვარგა. საჭიროა მისი სისტემატური. პერიოდული განახლება, ფაქტები კი არის.

თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოში 1975 წელი ხარისხისათვის დამკვრელური შრომის წლად არის გამოცხადებული. ამიტომაც იბრძვის თავდადებით საწარმოს თვითეული მუშაკი, რომ ყველა რგოლში ამაღლდეს პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

ბ. ბოგინაშვილი.

უვლიან, ზრუნავენ

მახარაძე. (საკ. კორ.). რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებში წარმატებით ჩატარდა ციტრუსოვანთა ნარგავების გამოზამთრების სამუშაოები. სოფელ მერიის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ვ. ჯაბუა, მთავარი აგრონომი გ. მარგალიძე) აგროტექნიკურ ვადებში აიკრა სარზე 6.000 ძირი ციტრუსოვანთა ახალგაზრდა მცენარე და 2.000 ძირი სრულმოსავლიანი ნარგავები.

ციტრუსოვანთა უკანბლად გამოზამთრებისათვის ფართობებში მოზიდულია გათბობის საშუალებანი — ნახერხი. მაჩუთი და სხვ. ციტრუსოვანთა პლანტაციების სოფლებსა გამოზამთრებისათვის მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები განახორციელეს ნატანების, ძმითის, ბურიანთის, შრომისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, ურეკის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობაში.

ალეუნეგლობის ჰანორამა

საჯარო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა 1975 წელს

**შარშან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა დათვალიერა თერთმეტმა მილიონმა კაცმა. ეს მაჩვენებელი ადასტურებს, რომ იზრდება ინტერესი ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეურნეობაში მოწინავე გამოცდილებისადმი, რომელიც წარმოდგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის 78 პავილიონში. მაგრამ მილიონობით საბჭოთა ადამიანი და უცხოელი სტუმარი აქ მარტო იმისათვის რიდი მოიჩქარის, რომ გაეცნოს უმნიშვნელოვანეს ექსპონატებს. ასეთისი ექსპონატებიდან, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის თანამედროვე დონეს. გამოფენა გახდა სრულიად საკავშირო აკადემია, სადაც ეროვნულ გამოცდილებას ეუფლებიან მეცნიერები და ავრონომები, ფიზიკოსები და პედაგოგები, ეკონომისტები და კომბაინერები. მარტო 1975 წელს აქ მოეწყობა 900-ზე მეტი სემინარი, კონფერენცია. საქმიანი შეხვედრა და მოწონავე გამოცდილების ათასგვარი სკოლა.

ეს ფაქტები 24 იანვარს გამართულ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა 1975 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობას. მოიყვანა მსმენი დირექტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა კ. ი. მიხაილოვმა მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტურ მშენებლობაში მოპპოვებულ წარმატებათა პროპაგანდის ძირითადი ფორმა: თემატიკური გამოფენები და დათვალიერებანი. წელს მაძინლზე 250-ზე მეტი ასეთი ღონისძიება განხორციელდება.

ყველაზე აქტუალური სახალხო მეურნეობის პრობლემებისადმი მიძღვნილი მობილური ექსპოზიციები საშუალებას გვაძლევენ უფრო მკაფიოდ და ქმედითად ვიჩენენთ ჩვენი მიღწევები.

ბევრ დამთვალიერებელს დაინტერესებს ეკონომიური განათლებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მისი როლის შესახებ თემატიკური გამოფენის მასალები. ეს პრობლემა შექმნილი „ოლიის სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივისა და ჩერკასკის ოლქის ჭერნობაის რაიონის პატრონაჟის სახელობის კოლმეურნეობის პრაქტიკის მაგალითებით. ტოლიატის ქარხანა დარგის მოწინავე საწარმოა ეკონომიური განათლების დიფერენციირებულ სისტემაში. აქ ჩაბმულია 30 ათასზე მეტი კაცი. ეკონომიკის საკითხებს პრაქტიკულად სწავლობს ეგრეთვე ჩერკასკის კოლმეურნეობის ყველა მუშაკი. და ეს, საერთო აზრით, მეურნეობის უნარიანი ხელმძღვანელი. მისი მაღალი რეტაბელობის ერთ-ერთი საიდუმლოებაა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთი უდიდესი პავილიონის „მანქანათმშენებლობის“ გამოფენებსა და დათვალიერებებზე ნაჩვენები იქნება ხუთი ათასზე მეტი ექსპონატი, რომელთა შორის არის ორიგინალური ლაზერული დანადგარები, რომლებსაც ეფექტიანად იყენებენ მრეწველობაში. აქ მოეწყობა მოსკოვისა და დედაქალაქის ოლქის, აზერბაიჯანის ნოვატორთა დათვალიერებანი, ნოვატორ ზინკალთა მიღწევების სრულიად საკავშირო დათვალიერება.

მეზობელ — „მეტალურგის“ პავილიონში ეი ოპერატიულ თემატიკურ ექსპოზიციებს შორის ვაპირებთ დამთვალიერებლებს ვუჩვენოთ გამოფენა შავი მეტალურგიის სამთო საწარმოებში დამხმარე სამუშაოთა მექანიზაციის შესახებ. მაგრამ გამოფენა დიდხანს არ იქნება მოსკოვში: იგი მოძრავია. გამოფენის ექსპონატებს გაეცნობიან ყაზახეთის სოკოლოვ-სარბაის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატში, სამხრეთისა და მიხაილოვსკოეს კომბინატებში- (უკრაინა).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ეგრეთვე მშენებლობა მიღწევები. კერძოდ, ათასგვარსაწინააღმდეგო ბეტონი ბეტონის ნაწარმი „საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების უწყვეტი დაგებრებისა და ნაკადური მშენებლობის სისტემა“. ამ ექსპოზიციაზე დამთვალიერებლები დაწვრილებით გაეცნობიან ორიოლელ მშენებლებთა გამოცდილებას. ქალაქში შექმნილია შეკვეთის ერთიანი სამსახური, ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაგვიმის მტკიცე გეგმა ბაყოფილია ეტაპებად და შედგენილია უწყვეტი ნაკადის პრინციპებით. ორიოლში ახალი სისტემის დანერგვის შედეგად მიღებულმა საერთო ეკონომიურმა ეფექტმა შეადგინა წელიწადში დახლოებით მილიონი მანეთი.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიღწევებისადმი მიძღვნილი საგამოფენო პანორამაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა არამაბინანიდგანი ზონის ჯანვითარებას. ერთ-ერთი ექსპოზიციაა ნაგვაცნობს ზონაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების პერსპექტივებს, მეორე — რუსეთის ფედერაციის ამ ვრცელ მხარეში მარცვლეულ კულტურების წათესვების გეოგრაფიასა და მოსავლიანობის ამაღლებას.

წლის ერთ-ერთ უდიდეს თემატიკურ გამოფენაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა „ამოფენის ფარგლებში დამთვალიერებლები ეაეცნობიან მარცვლეულის წარმოების ადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა ჯამოცდილებას. გამოცდილებას ეუფლებენ სამი მოკავშირე რესპუბლიკის, ერთი მხარისა და ხუთი ოლქის მაგალითით.

თემატიკურ გამოფენაზე ნაჩვენები იქნება მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის დარგში მარეოის ასს რესპუბლიკის საყურადღებო გამოცდილება. მეურნეობრიობის სისტემის, მარხვისა და ორგანიზაციის მეთოდების სრულყოფის ჯამოცდილება. ლენინგრადის ოლქში. სადაც შექმნილა დაბშული ციცლით ღორის ხორცის წარმოების დიდი ფირმა „ნოვი სვეტ“.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა ჯამოფენაზი დასვენების დღე არ არის. მისი კარი ფართოდ არის ღია ყველასათვის, ვისაც ინტერესებს მოწინავე გამოცდილება, საბჭოთა ხალხის წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

ᲙᲝᲜᲘᲡᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

რუსთავი — სუმგაითი

კვლავაც შევეჯიბროთ

რუსთავი. (საკ. კორ.). ეს წერილი, რომელიც რუსთაველმა ქიმიკოსებმა სუმგაითელი კოლეგებისაგან ახლახან მიიღეს, არც პირველია და არც უკანასკნელი. ამჯერად სუმგაითელები უპასუხებდნენ რუსთაველთა მოკითხვას და წინადადებას იძლევიან კვლავაც იმეგობრონ, კვლავაც გაგრძელონ თავიანთი შეჯიბრება.

ერთი ათიული წელია, რაც რუსთავის ქიმიური კომბინატის ამონიმის სულფატის და სუმგაითის სუპერფოსფატის ქარხნის სუპერფოსფატის საამქროების კოლექტივები ერთმანეთს გაეკვნენ და მტკიცე მეგობრული კავშირი დამყარეს. თვე არ გავა, რომ ისინი ერთმანეთს არ დაუკავშირდნენ და თავიანთი წარმატებები ერთმანეთს არ გააცნონ.

რუსთაველმა ქიმიკოსებმა უკვე შეიმუშავეს სოციალისტური შეჯიბრების თავიანთი ხელშეკრულება და გაუგზავნეს სუმგაითელ მეგობრებს. ამ ხელშეკრულებით ქართველი ქიმიკოსები იღებენ ახალ შემხვედრ ვალდებულებებს.

სამეცნიერო-პრაქტიკული...

ლუშეთი. (საკ. კორ.). სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სოფელ მჭადიჯვარში მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ — ასეთი იყო თემა ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. ტრაპაიძის ლექციისა.—სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს რესპუბლიკაში“ —ამ თემაზე მოისმინეს ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ო. ვაშაკიძის ლექცია.

კონფერენციაზე ლექციებით — „სოფლების დაგეგმარება და განაშენიანება საქართველოში“ და „სოციალისტური შეჯიბრება და შემხვედრი გეგმები“ — გამოვიდნენ მეცნიერებათა კანდიდატები ზ. ალუღიშვილი და ი. მესხი.

გუგერის მახლობლად

გუგეშკორი. (საკ. კორ.). დიდი ჭყონი-კიზიის გზა საკმაოდ გრძელია. მის რეკონსტრუქცია-გაფართოებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის.

გუგერის მახლობლად მძლავრი ტექნიკის გუგუნი ისმის. მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები. ახლად გაიჭრა და რეკონსტრუქცია უკეთდება ორნახევარი კილომეტრი გზის მონაკვეთს. მდინარეებზე — ლახვარიასა და ნოღაზე ორი კაპიტალური ხიდი აიგო, გზის რამდენიმე ადგილას ჩაეწყო 90 გრძივი მეტრის ბეტონის მილები. გზის მშენებლებმა ძირითადი სიძნელეები უკვე უკან ჩამოიტოვეს. შრომაში თავი ისახელეს ტრაქტორისტებმა ბ. ჯანაშიამ, ე. კალანდიამ, გზის ოსტატმა ი. ქვარცხავამ, სამუშაოთა მწარმოებელმა გ. თოდუამ და სხვებმა.

დიდების მუზეუმში

ტყიბული. (საკ. კორ.). სამ წელზე მეტია ქალაქში შეიქმნა დიდების მუზეუმი. აქ გამოფენილი ექსპონატები ექსპონატი ბრაგალ დამთვალიერებელს ეზიდავს. დიდ სამამული ომში გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის მზადდების დღეებში შეიცვალა მუზეუმის ექსპოზიცია. იგი ახალი საინტერესო მასალებითა და ექსპონატებით შეივსო. დიდების მუზეუმს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმმა ახლახან საშეფო დახმარების სახით გამოუგზავნა საბრძოლო ნაღმი. რომელიც ყირიმშია ნაპოვნი. დიდების მუზეუმისათვის კარგი შენაძენია აგრეთვე ჯიმუშკის ქვის სამტვრევლიან ალებული გრონტრი. ამ დღეებში დიდების მუზეუმს ეწვიალი ფოტორეპროდუქცია შეემატა.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, პალატის დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება:

ქავჭავაძე დარეჯან ვარლამის ასული — განყოფილების გამგე.

კეკელიძე მედეა ვლასის ასული — უფროსი რედაქტორს.

მაჭავარიანს მზია დავითის ასულს — განყოფილების გამგე.

ნუცუბიძეს ჭელიეტა აბესალომის ასულს — განყოფილების გამგეს.

ჭორიძეს ნიკოლოზ ივანეს-ძეს — დირექტორის მოადგილეს.

ყურაშვილს მზია იასონის ასულს — განყოფილების გამგეს.

შენგელიას ნადია იოსების ასულს — განყოფილების გამგეს.

ხუციშვილს ეთერი მათეს ასულს — განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ზ. კეკელიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვამაძე

თბილისი, 1975 წლის 27 იანვარი.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომლებისათვის, პალატის დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, პალატის დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ:

დეკიძე ლილი ვლადიმერის ასული — განყოფილების გამგე.

კენჭაძე ალექსანდრა მელიტონის ასული — განყოფილების გამგე.

ლოგაძე, ნატალია ევგენის ასული — უფროსი ბიბლიოგრაფი.

მექანარაშვილი თინათინ ევგენის ასული — განყოფილების გამგე.

ნაკაშიძე თინათინ ერმილეს ასული — მთავარი ბიბლიოგრაფი.

ტაკიძე ნათელა არონის ასული — უფროსი რედაქტორი.

შარაშიძე ანნრა ივანეს-ძე — განყოფილების გამგე.

ჩხეტიანი ეკატერინე ვლადიმერის ასული — განყოფილების გამგე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1975 ᲬᲚᲘᲡ 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 27 იანვრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდა ირაკლი გიორგის-ძე **კალანდარიშვილი,** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, — პარტიულ, საბჭოთა და სავაჭრო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დამსახურების ორმოცდაათ წლისთან დაკავშირებით.

Ვ. Ი. ᲙᲘᲙᲕᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚ

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

თათგირი თეთრ სახლში

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 29 იანვარი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესში ორივე პარტიის ლიდერებთან გამართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა შეერთებულ შტატებში შექმნილ ეკონომიურ და ენერგეტიკულ პრობლემათა განხილვას. თათბირმა ჩაიარა სულ უფრო გამწვავებულ ეკონომიკურ სიძნელეთა ფონზე, რომლებიც გამოვლინდა რესპუბლიკელთა მთავრობასა და დემოკრატთა კონტროლს დაქვემდებარებულ კონგრესს შორის.

თათბირის ყურადღების ცენტრში იყო საკითხი, რომ 1 თებერვალიდან გადიდდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმპორტირებული ნავთობის საბაჟო გადასახადი, რაც შეა განვლილ კვირაში გამოაცხადა პრეზიდენტმა. მთავრობის გეგმების შესაბამისად, სამი თვის შემდეგ ეს გადასახადები შეიტანენ ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მუდმივი აქციზური გადასახადთან. ექსპერტთა აზრით, ეს აუცილებლად მისცემს ბიძგს ახალ ინფლაციურ აფეთქებას, ხელს შეუშლის ამერიკელის ოჯახის ნავთობის ანგარიში! ეირებოდა, როგორც მინიმუმი, წელიწადში 275 დოლარით. შესაძლოა 35 დოლარითაც გაიზარდოს.

დემოკრატები ამ კვიმის წინააღმდეგი არიან. კონგრესი ახლა ელოდება ორ, როგორც მიმმხილელნი ფიქრობენ, მალე მიიღებს ენერგეტიკულ პროექტს, რომელიც მთავრობისათვის აუცილებელ ისეთია, რომ 1 თებერვალიდან ნავთობის ფასი ერთ-ერთ ეტაპზე ოთხ ან ექვსჯერ ავიდეს. ეს ეტაპი ეროვნული ეკონომიკისთვის ძალიან ძვირი ჯდება

გამოჩენილი იურისტი

პროფესორ გიორგი ნანეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა გიორგი ნანეიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა. იგი შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის პრორექტორმა ს. ჯორბენაძემ. მოხსენება თემაზე „გ. ნანეიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გააკეთა პროფესორმა ი. სურგულაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ს. ყაუხჩიშვილი და ი. დოლიძე. დოცენტმა ბ. ფხალაძემ დასწრეებს გააცნო, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენენ რუსი იურისტები გ. ნანეიშვილის შრომებისადმი.

გამოჩენილმა ქართველმა იურისტმა გიორგი ალექსანდრეს-ძე ნანეიშვილმა 1911 წელს დაასრულა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაშინ აქ ასწავლიდა მსოფლიოში გამოჩენილი იურისტი-მეცნიერი, სამართალში ფსიქოლოგიური სკოლის შემქმნელი პეტრაჟეცკი. მისი ხელმძღვანელობით ღრმად დაეუფლა გ. ნანეიშვილი იურიდიულ მეცნიერებას. მაშინ პეტერბურგში სხვა ქართველებიც სწავლობდნენ, მათ შორის მისი ყრმობის მეგობარი აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი. პეტერბურგის უნივერსიტეტში პეტრაჟეცკის რეკომენდაციით გ. ნანეიშვილი არჩეულ იქნა იურიდიული სამეცნიერო წრის თავმჯდომარედ, რაც მისი ნიჭიერების აღიარებას წარმოადგენდა.

თბილისში უნივერსიტეტის გახსნისას საქართველოში იურისტებზე მოთხოვნილება დიდი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ მეცნიერი იურისტები არ გვყავდნენ, ფაკულტეტის დაარსება თავდაპირველად შეუძლებელი გახდა.

უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი ჩაფიქრა ამ გარემოებამ, და აი მისი თაოსნობით გ. ნანეიშვილი მივლინებულ იქნა სასწავლად ევროპაში. აქ გ. ნანეიშვილი ისმენდა მსოფლიოში ცნობილი სწავლულების ჰუსერლისა და შტამლერის ლექციებს. მან, როგორც ეს აღნიშნა ი. დოლიძემ, განიცადა მათი კეთილი გავლენა. ივანე ჯავახიშვილის არქივს შემოუნახავს გ. ნანეიშვილის წერილები, გამოგზავნილი პარიზიდან. ამ წერილების შინაარსი სხდომას გააცნო ი. დოლიძემ. წერილებში გ. ნანეიშვილი ივანე ჯავახიშვილს აცნობებს თავის დუხჭირ მდგომარეობას და სთხოვს დახმარებას. როცა მან საფრანგეთში მიიღო ივანე ჯავახიშვილის მოწვევა, გზის ფულიც კი არ აღმოაჩნდა სამშობლოში ჩამოსასვლელად. ივანე ჯავახიშვილის დახმარებით, 1921 წელს გ. ნანეიშვილი ბრუნდება საქართველოში და ახალგახსნილ იურიდიულ ფაკულტეტზე ინიშნება ლექტორად. მან თბილისის უნივერსიტეტში წარადგინა სადოქტორო დისერტაცია „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“. ეს შრომა თბილისში 1929 წელს ცალკე წიგნად გამოიცა და იმ დროისთვის იურიდიულ მეცნიერებაში ახალ სიტყვას წარმოადგენდა. დაცვის დროს ეს აღნიშნეს მისმა ოპონენტებმა შ. ნუცუბიძემ, ლ. ანდრონიკაშვილმა და ირ. სურგულაძემ. ეს იყო ერთ-ერთი პირველი საოფიციალო დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებაში.

მისი დამოკიდებულება სტუდენტებთან განსაკუთრებული, თავაზიანი იყო. მახსოვს, ერთ ლექციაზე, როცა სამართლის მარადიულობის მხარეებზე გვესაუბრებოდა, სტუდენტმა უადგილო რეპლიკა მისცა. ეს პროფესორს არ ეუცხოვა, მხოლოდ სტუდენტს თავაზიანად მოუწოდა წესრიგისაკენ, რომ ლექციის დამთავრების შემდეგ სემინარში ესაუბრაა ამ საკითხზე. მართლაც, პროფესორმა ამ საკითხზე მეორე დღესვე გამართა საუბაასი.

გ. ნანეიშვილი 43 წლის ასაკში დაიღუპა. მას არ დასცალდა თავისი დიდი მეცნიერული მუშაობის დასრულება. მაგრამ რაც გააკეთა, ამითაც ღრმა კვალი გაალო ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში.

ა. გაჩეჩილაძე.

კალათბურთი

თბილისელთა რევანში

გუშინ კიევის სპორტის სასახლეში გაიმართა ადგილობრივი „სტროიტელისა“ და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის განმეორებითი მატჩი.

ქართველმა სპორტსმენებმა კარგად წარმართეს მთელი შეხვედრა და საგრძნობ უპირატესობას მიაღწიეს როგორც თამაშის მხრივ, ისე ანგარიშში.

დინამოელები უკვე მეხუთე წუთისთვის წინ იყვნენ ხუთი ქულით, ტაიმი კი მოიგეს 7 ქულის სხვაობით — 44:37.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა კიდევ უფრო გაზარდეს უპირატესობა — 66:57, 76:63, 88:69 და, ბოლოს — 88:71. „დინამომ“ 17 ქულის სხვაობით მოიგო მატჩი. და სრული რევანში აიღო წინადღის დამარცხებისათვის (9 ქულა).

თბილისელებს ახლა 20 თამაშიდან 16 ქულა აქვთ და კვლავ მესამე ადგილზე არიან. მომდევნო შეხვედრებს ჩვენი კალათბურთელები გამართავენ 3 და 4 თებერვალს მინსკში ადგილობრივ რტისთან.

ჟურნალისტთა ფინალური მატჩი

ორგზრივი შეცდომებით

მეოთხე პარტიის 11 სვლა მეორე პარტიას დაემთხვა. შემდეგში თეთრებით მოთამაშე ლევიტინამ ახალი გაგრძელება შეთავაზა მეტოქეს. მან ნებაყოფლობით დაასუსტა საკუთარი მეფის საფარი, რათა შემდგომში ღია ხაზი მიეღო საიერიშოდ. კიდევ რამდენიმე სვლის შემდეგ ლენინგრადელმა მოუდოდაკეშ პაიკი შესწირა. აქ ალექსანდრიამ პირდაპირ გააღება მაყურებლები — საათნახევარი ითვლება, მიეღო თუ არა ეს შეწირვა. ბოლოს მან მაინც შეწირვის მიღება ამჯობინა, მაგრამ ძლიერი მეტოქის მოგვიღო ანგარიება მოუხდა.

ლევიტინა ოტიკეა როგორც მეფის ფრთაზე, ისე ბრძოლის საწინააღმდეგო უბანზეც. ძლიერი ჯაიტნტის მიუხედავად ალექსანდრიამ კარგად გაართვა თავი სიძნელეებს. თავის მხრივ, წაწყდა რა შეუპოვარ დაცვას, ლევიტინაც შეცდა 31-ე სვლაზე. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს პარტიაც ყაიმით დასრულდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

32-ე სვლაზე ალექსანდრიას მძიმე შეცდომა მოუვიდა. ამის შემდეგ თეთრების მოქმედების მოგებიება უკვე შეუძლებელი გახდა. ... ლევიტინამ გამიმარჯვა.

მატჩის მეოთხე პარტია

ლევიტინა — ალექსანდრია

ალიოხინის დაცვა

1. e4 ∂f6 2. e5 ∂d5 3. d4 d6 4. ∂f3 ⚘g4 5. ⚘e2 e6 6. 0-0 ⚘e 7. h3 ⚘h5 8. c4 ∂b6 9. ∂c3 0-0 10. ⚘e3 d5 11. c5 ⚘:f3 12. gf ∂c8 13. f4 g6 14. ♕h2 ♕h8 15. f5 gf 16. ♖g1 ♖g8 17. ♖:g8+ ♔:g8 18. ♖d2 ∂d7 19. ♖g1 ♔e8 20. ⚘h6 ⚘f8 21. ∂b5 ∂e7 22. ∂:c7 ⚘:h6 23. ♔:h6 ♔f8 24. ♖g5 ∂b8 25. ∂b5 b6 26. b4 bc 27. bc f6 28. ♔h5 fe 29. ∂d6 h6 30. ∂f7+ ♔:f7 31. de ∂:c5 32. a4 ∂b2 33. ♖g5 + ♔:g5 34. ∂f7+ ♔:f7 35. ∂:h6 ♔:h6 36. ♔f7+ ♔:g5 37. ♔e8+ შავები დანებდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 2,5:1,5 ლევიტინას სასარგებლოდ.

მორიგი მეხუთე პარტია დღეისათვის არის დანიშნული.

გ. გამრეკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. აღაპიშვილი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 68 წლის გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის დაჯილდოებული მუშაკი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი შალვა დიმიტრის-ძე აღაპიშვილი.

შ. აღაპიშვილმა ცხოვრების სახელოვანი გზა განვლო, მთელი თავისი ენერგია, ორგანიზატორული ნიჭი უანგაროდ მოახმარა რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აღმავლობას.

შ. აღაპიშვილი დაიბადა კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში რკინიგზის მუშის ოჯახში. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1933 წლიდან 1940 წლამდე მუშაობდა კასპის რაიონში აგრონომად და უფროს აგრონომად, ხოლო შემდეგ 1947 წლამდე — საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრისა და მინისტრის მოადგილედ. 1947 წლიდან 1950 წლამდე არჩეული იყო კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავჯდომარედ. 1950 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების სექტორის გამგედ, სოფლის მეურნეობის ჯგუფის უფროსად და უფროს რეფერენტად.

შ. აღაპიშვილის თავდადებულმა შრომამ დიდად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო „სიპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით. მას მიღებული ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლები და სხვა ჯილდოები.

წვიდა ჩვენგან ძვალი კომკავშვილი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, უმწიკლო მუშაკი, თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგი.

შ. აღაპიშვილის ნათელი სხოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულებსა ვისაც მასთან ერთად უმუშავია და ვინც იცნობდა მას.

ამხანაგების ჯგუფი.

მკითხველმა წერილი გამოგზავნა

● ქუთაისი. თერჯოლის რაიონის სოფლების ნახშირღელისა და ქვედა სიმონეთის ზოგიერთი უბნის მცხოვრებნი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ავტოტრანსპორტის ცუდი მომსახურების გამო. მათ რამდენიმე კილომეტრი უნდა ფეხით გაევლოთ, რომ ძირითად სამანქანო მაგისტრალამდე მისულიყვნენ და ავტობუსს დალოდებოდნენ. მეზობელი სოფლების მშრომელთა ეს გულისტკივილი ყურადღებით განიხილა ქუთაისის № 3 ავტოტრესტის ხელმძღვანელობამ, გამოიყო ერთი ავტობუსი, რომელიც რეგულარულად მოძრაობს ნახშირღელე-ქვედა სიმონეთ-ქუთაისის მარშრუტით. ქ. ხახარაძე.

● ზუბდიდი. სოფელ შამგონაში მდინარე ენგურის მარცხენა შენაკადზე გაკეთდა ახალი ხიდი. რითაც შამგონა პირველად მეუერთდა რაიონისა და რესპუბლიკის ცენტრალურ მაგისტრალურ მოსაფალტებულ გზებს.

მოკლე დროში და მაღალხარისხოვნად შეასრულეს გზის სამუშაოები ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო უბნის მუშაკებმა. ბ. ალშიბაია.

● თელავი. ცენტრალური ბიბლიოთეკის № 1 ფილიალმა აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კლუბში მოაწყო თემატური საღამო „ჩემი ფაბრიკა მეცხრე ხუთწლედში“. სიტყვებით გამოვიდნენ ფაბრიკის ყოფილი დირექტორი, პენსიონერი შ. ყარაულაშვილი, პარტბიუროს მდივანი ქ. ყარაულაშვილი, ტექნიკური განყოფილების უფროსი ე. ჩხეიძე და სხვ. ს. ემოდოლშვილი.

საგზური და გაცრუებული იმედები

სანატორიუმ „ალაზანში“ დამსვენებლის გულისტკივილი

სუსხიან დეკემბერში საგზურით — გურჯაანი, ახტალა — ვეშვიე სანატორიუმ „ალაზანს“.

ახტალა ხაკავშირო მნიშვნელობის კურორტია და მის სამკურნალო თვისებებზე, რა თქმა უნდა, არ შეეჭიდები, ეს ისედაც ცნობილია, თუ რა მაღლიანი სამკურნალო ტალახი ამოიღეთქა გულიდან აქ ქართულმა მიწამ.

სანატორიუმის მოსამსახურე პერსონალის უსულგულო დამოკიდებულებამ პირველი საუკეთესო შთაბეჭდილებანი სულ მალე გააქარწყლა. სანატორიუმში სრულიად არ იგრძნობოდა გამაჯანსაღებელი კერის სიმშვიდე. საერთო ხმაურს ემატებოდა მოსამსახურე პერსონალის გადადახილ-ამოძახილი პირველი სართულიდან ზევით და ზევიდან ქვევით. მხოლოდ ქაღალდზე იყო განსაზღვრული დრო დასვენებისათვის. ამას ერთვოდა ტელევიზორებიც ხმაური სატელევიზიო გადაცემის დამთავრებამდე. ოლიმპიური სიმშვიდით შესცქერიოდნენ დამლაგებელები მტვრიან ოთახებს. არავინ კითხულობდა, ვინ რომელ ოთახზე ბრუნდებოდა პალატებში.

ერთფეროვანი და უგემური კერძების გამო არაერთხელ მივმართეთ ინსტერიამდე მიიყვანეს თბილისელი ნ. ამის გამო შემდეგ მთელი სამედიცინო პერსონალი დადგა ფეხზე, მაგრამ ამ საკითხზე მედგი მოაყვებოდა ამას...

ოცა ყველაფერ ამაზე ვესაუბრე სანატორიუმის მთავარ ექიმს გ. ზაკარაშვილს და გამოთქვი გულისტკივილი აღნიშნულის გამო, ყველაფერში დამეთანხმა. აღმითქვა, მომავალში აუცილებლად გავითვალისწინებ თქვენს შენიშვნებსო. როცა ვუთხარი, არ ვაპირებ ამ მდგომარეობის დაფარვას-მეთქი, შეწუხდა, ეს სულ ახე კი არ არის, სეზონი რომ მიიწურა ალბათ შანელეს ყურადღებაო.

— მაგრამ რა შუაში ვართ ჩვენ, რომლებმაც ახლა მოვიცალეთ, თოჯრემ მარტმი როცა ახლად გაიხსნება, რომ შედარებით უკეთესი პირობები იქნება ეშვიც არ მეარ ე ბ ა და ახლაც მრავალი ვინმე მომწონს-მეთქი. როგორ შეიძლება ღრმა პატივისცემით არ მოვიხსენიო მკურნალი ექიმი ანგელინა გიორგობიანი, მედრეგისტატორი ლიუდმილა არტემიევა, მომტანი ლილი ნიკოლაიშვილი, სასადილოს მეგარდერობე მარგო უროტოვა, მასაჟისტები როზა აბაზოვა და ეთერ მოსესოვა, დერეფნის დამლაგებელი ალექსანდრა კოლესნიკოვა, ექიმ შალვა მ ჭ ე დ ლ ი ვ ი ნ ი ს და სხვათა გულისხმიერება, რ ო მ ლ ე ბ ს ა ც ჩრდილს აყენებს ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზები.

— თქვენთან დღევანდელი ძერების რიტმი სრულიადაც არ იგრძნობა, — შევეხეთ ბატონ გ. ზაკარაშვილს, და რომ არ შექმნილიკო საერთო უარყოფითი აზრი, რა თქმა უნდა, ამ წერილის დაწერას ვეცდ ,ვავბედავდი-მეთქი. როგორი შთაბეჭდილებით წავა პირველად ჩამოსული მორეული მხარის კაცი, რომელიც ნახავს ჩვენი კურორტის უსეირო მომსახურების ამ ნიმუშს...

და, ბოლოს, მინდა ერთი საკითხიც აღვნიშნო.

უცხო მხრის კაცი ყოველ...ეს ცდილობს ასლოს გაეცნოს პირველად მოსვედრილ მხარეს, გაეცნოს მის წარსულს, აწყოსა და მომავალს. რა აღტაცებით შეაცქერიდნენ დამცვენებლები ალექსანდრესეულ უნიკალურ ბაღს, შუამთასა და ალავერდს. როგორ მინდოდა ყველაფერი სცოდნოდათ საქართველოს შესახებ, შეეგრძნოთ მისი სილამაზე და სიდიადე, შეეემზადე კიდეც, ბაგრამ როგორ გამიცრუდა იმედი, როცა ეს სულ სიამძღოლის საოცრად უმეცარია და ენის გაუმართობას შეეცქერიდი... (მგონი არც ეს არის მთლად წერილმანი)

ამ საკითხებზე შემდეგ ვესაუბრე ექიმ შალვა მჭედლიშვილს და ადგილობრივ თავმჯდომარეს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მათ ვუთხარი კიდევ: მრავალი „წერილმანი“, რომელიც შეთანხმებისამებრ არ გამომაქვს სამსჯავროზე.

ყოველივე აღნიშნულის გამო დამეთანხმნენ და მთხოვეს არ მეთქვა იმ მოტივით, რომ შეიძლება ამან საერთოდ სანატორიუმის ყოფნა-არყოფნის საკითხი დასვასო.

ვფიქრობ ჩემი წერილი იქამდე კი არ მიიყვანს საქმეს, არამედ დასვამს საკითხს ამ ძვირფასი საუნჯის უკეთ გამოყენებისათვის. ეს არის ჩემი აზრი, ყველა იმათი აზრი, რომლებიც მხარს მიჭერდნენ აღნიშნული საკითხის პრინციპულად დაყენებისათვის. მგონი ასეთსავე აზრს იზიარებდნენ წერილის ავტორები, რომლის შესამოწმებლად რაიონული კომიტეტიდან მოვიდნენ.

ნათელა ჟღენტი,
დამსვენებელი.



საქართველოს ზამთრის პოპულარულ კურორტ ბაკურიანში დიდი თოვლია. თეთრად ქათქათებენ ხეები, სპორტული ბაზებისა და ტურისტული ბანაკების შენობები, როგორც ყოველთვის, ბაკურიანში ამ დროს სათხილამურო გასეირნების მრავალი მოყვარული ტურისტი და სამთო-მოთხილამურე სპორტსმენია.

ხურათზე: ყველგანმავალ „გაზიკს“ ვერ ამჩნევს დიდი თოვლი.
მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ალპინიზმის სამსახურში

ბავშვები და კანონიერება

გიბლიოთეკა „მშობლებს მოზარდი თაობის სამართლებრივი აღზრდის შესახებ“

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდას მაღალი შეგნებულობის, შრომისმოყვარეობის, დისციპლინის, საზოგადოებრივი იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. ბავშვების აღზრდა ჩვენს ქვეყანაში განიხილება როგორც დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე და მიიჩნევა არა მარტო ზნეობრივ, არამედ სამართლებრივ მოვალეობადაც.

უკლებლივ ყველა მოზარდს უნდა შევასწავლოთ საბჭოთა სამართლის ნორმების მოთხოვნები და ჩავუნერგოთ ამ მოთხოვნილებისადმი პატივისცემის გრძნობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ახალგაზრდა შეიგნებულად ეკიდებოდეს ყოველგვარ სამართალდარღვევას და აქტიურად იბრძოდეს კანონიერების დაცვისათვის. ამ მიზნით პარტიული ორგანიზაციების, კომკავშირის, სასახლო განათლების ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის საზოგადოებრივი ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს მოზარდი თაობის სამართლებრივი აღზრდა.

ბავშვები ოჯახში პატარაობიდანვე უნდა შევაჩვიოთ კანონიერებისადმი პატივისცემას. შშობლებმა ეს მოვალეობა რომ შეასრულონ, მათ თვითონ უნდა ჰქონდეთ საკმაო ცოდნა იმ მოზარდი თაობის სამართლებრივ აღზრდას, შვილების აღზრდის მათს მოვალეობას და იმ პასუხისმგებლობას შეეხება, რაც დაეკისრებათ ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის. ამ მიზნით მშობლებს კარგ დახმარებას გაუწევს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული ბიბლიოთეკა „მშობლებს მოზარდი თაობის სამართლებრივი აღზრდის შესახებ“ რომელიც ათ ბროშურისაგან შედგება. ისინი მკითხველს აცნობენ საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შვილების აღზრდის მოვალეობას, მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი უფლებების დაცვას, განათლების უფლებას, შშობლთა ადმინისტრაციულ და მატერიალურ პასუხისმგებლობას, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და სხვ.

ბროშურის ავტორები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლები — პროფესორები: შ. ფურცხვანიძე, ა. ფალიაშვილი, ნ. ზ ე ნ ა ი ა ; ასოცენტები: ბ. ა ბ ვ ლ ე დ ი ა ნ ი , მ. ლ ე ვ ა ვ ი ძ ე ი ლ ი , ზ. ჯ ი ნ ჯ ო ლ ა ვ ა , ვ. ლ ო რ ი ა ; დ. ც ი ნ ც ა ძ ე ; ზ. წ ო ფ ა ი ა .

რედაქტორია გ. ტყეშელიაძე, გამომცემლობის რედაქტორი შ. კაპანაძე.



თბილისური დღიურები

ახალი სამედიცინო

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების საკონფერენციათ დარბაზში მუშაობა დაამთავრა ბიოქიმიური და სარეამინაციო ახალი ტექნიკის გამოყენებისადმი მიძღვნილმა სიმპოზიუმმა. იგი მოეწყო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ახალი სამკურნალო პრეპარატებისა და უახლესი სამედიცინო ტექნიკის დანერგვის სამმართველოს, თბილისის ჰეფიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და შვეიცის ფირმა „ლკბ“-ს ინიციატივით.

სიმპოზიუმის მუშაობაში საბჭოთა მედიკოსებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ უცხოელი კოლეგები, შვეიცის ფირმა „ლკბ“-ს წარმომადგენლები. ამ ფირმის მიერ წარმოებული სამედიცინო აპარატურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია ცნობილი. მათ შორის საბჭოთა კავშირშიც. ფირმა „ლკბ“-ს მიერ გამოშვებულ ბიოქიმიურ აპარატებს წარმატებით იყენებენ თბილისის ჰეფიატრიის ინსტიტუტში.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ავადმყოფთა კლინიკური გამოკვლევებისადმი განკუთვნილი ახალი სამედიცინო აპარატების გამოყენების გამოცდილება, გაეცნენ ახალ სამედიცინო ტექნიკასა და სამკურნალო საშუალებებს.

უფრო გალამაზდება

საქართველოს სსრ საფინანსო მასალათა მრეწველობის სანინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში კერამიკოსებმა შეამუშავეს უთუთიო ჭიქრის წარმოების ტექნოლოგია, რომელსაც წარმატებით იყენებენ მხატვრული კერამიკის მოსაპირკეთებლად. ამჟამად ათვისებულია შავი და ყავისფერი ჭიქური, იყენებენ მკრქალ ჭიქურსაც.

მომავალში კერამიკოსები შეასამებენ სხვადასხვა ფერის ჭიქურს. მოსაპირკეთებელი მასალის ფერადი გამები კიდევ უფრო გაალამაზებს კერამიკის ნაწარმს და თავისებურ კოლორიტს შესძენს მას.

რ. მუხიგულაშვილი.

ეროვნული ფინალური მატჩი

ვეიკ-ან-ზეეს ტურნირზე

ვეიკ-ან-ზეეში (ჰოლანდია) გრძელდება ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

მეშვიდე ტურში ნონა გაფრინდაშვილმა დაამარცხა რუმინელი ტეოდორესკუ, ხოლო მეოთხე ტურში ყაიმზე შეთანხმდა უნგრელ ივანკასთან.

ამრიგად, ნ. გაფრინდაშვილს 7.5 ქულა აქვს 8 შესაძლებლიდან, ივანკას — 6,5 ქულა.

ფეხბურთი

მარტიდან — ნოემბრამდე

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის 37-ე ჩემპიონატი დაიწყება 12 აპრილს და დამთავრება 9 ნოემბერს. მატჩების უმეტესობა (22 ტური) გაიმართება კვირაობით, უთხრეს საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში. მაგრამ კიდევ უფრო ადრე დაიწყება ქვეყნის თასის გათამაშება — 23 მარტს. ამჟერად გათამაშების ყველა სტადიაში მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან მხოლოდ ერთხელ, და არა ორჯერ, როგორც წინათ.

ქვეყნის ჩემპიონატში დაგეგმილია შესვენება პირველსა და მეორე წრეებს შორის (17 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე). ამ შესვენებას გამოიყენებენ საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრებისათვის. კიდევ ერთი სიახლე ეხება მოთამაშეთა ფორმას. ამერიდან თვითეული გუნდის ფეხბურთელს სეზონის დასაწყისში „მეექუთვნება“ გარკვეული ნომერი, რომლითაც იგი ითამაშებს სეზონის ყველა მატჩს. (**ხაკდესის კორ.**).

მატჩი გადატანილია

სსრ კავშირისა და **პორტუგალიის** ნაკრებთა მატჩი ფეხბურთში, რომელიც 29 იანვარს უნდა გამართულიყო ლისაბონში, არ შედგა. იგი უფრო გვიან გაიმართება. ამის მიზეზია უთანხმობა „ბენფიკას“ კლუბსა და პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციას შორის, რომლებიც ვერ შეთანხმდნენ მატჩის (იგი „ბენფიკას“ კლუბის სტადიონზე უნდა გამართულიყო) შემოსავლის გაყოფაზე.

მოკლედ

ჰიდაობა. ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ჩვენს ქვეყანაში ტრადიციული ხალხური პირველი შეხვედრა გამართეს ერევანში სსრ კავშირის ნაკრებთან. დიდი ანგარიშით 8:2 გაიმარჯვეს საბჭოთა ფალავნებმა. ამერიკელი მოჭიდავეები გამოვლენ თბილისის საერთაშორისო ტურნირში (31 იანვარი — 2 თებერვალი), ბაქოსა და ალმა-ათაში.

რიგაში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში წარმატება ხვდათ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მოჭიდავეებს, რომლებიც მეორე გუნდურ ადგილზე გამოვიდნენ.

მძლეოსნობა. ოჩამჩირეში დამთავრდა სპორტასაზოგადოება „კოლეგიურნეს“ პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკთა შორის, რომელშიც 13 კოლექტივი მონაწილეობდა. პირველი ადგილი მოიპოვა მახარაძის გუნდმა.

არის პირველი „ოქრო“!

პოპენჰაგენის საქალაქო რატუშაში 27 იანვარს ხახიმის ვითარებაში გაიხსნა ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში, ხოლო მეორე დღეს დანიის დედაქალაქის „ბრონდბიუკპალეს“ საციგურაოზე გაიმართა შეჯიბრება ერთეულთა სავალდებულო პროგრამით ვაჟთა შორის.

109 მონაწილეთაგან ყინულზე პირველი გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი სერგეი ვოლკოვი (მოსკოვის ოლქი), რომელმაც სავსებით გაამართლა თავისი ნომერი და პირველმა მოიპოვა მცირე ოქროს მედალი — 78,05 ქულა. კარგად იასპარეზა მოსკოველმა ვლადიმერ კოვალიოვმაც (76,24), რომელიც მეორე ადგილზე გამოვიდა. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ინგლისელი ჯონ კარი — 73,78.

წყვილთა შორის დამაჯერებლად იგდეს ხელთ ლიდერობა მსოფლიოს ექვსჯერ ჩემპიონმა ირინე როდნინამ და მისმა პარტნიორმა ალექსანდრე ზაიცევმა — 35,46 ქულა.

განთიადელთა უპირატესობით

გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. გუნდური პირველობა მოიპოვა „განთიადელმა“ კოლექტივმა, მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკის“ გუნდი.

გოგონათა შორის რუსეთის ჩემპიონი ვიხდა სპორტის ოსტატი ლ. გაბელია („განთიადი“), ბიჭებში — მისი თანაკლუბელი მ. სიხარულიძე.

წყვილთა შეჯიბრებაში საუკეთესონი იყვნენ ქ. მაჭავარიანი და ვ. თაქაძე, ხოლო სპორტულ ცეკვებში — ლ. ძმა თამარ და თენგიზ ლაფერაშვილები.

„ნედელიას“ პრიზზე

გუშინ მოსკოვში გაიმართა ექესთა ტურნირის ფინალი მინიფეხბურთში ყოველკვირეულ „ნედელიას“ პრიზზე. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივი“ და „ცსკა“.

დიდი ანგარიშით 5:1 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“, რომელმაც მოიპოვა „ნედელიას“ პრიზი.

მესამე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის „დინამო“, რომელმაც ანგარიშით 8:6 მოიგო „ტორპედოს“, ხოლო მოსკოვის „სპარტაკმა“ მეხუთე ადგილისათვის ბრძოლაში სძლია სოფიის ნაკრებს — 6:5.

ცხოველთა სამყაროში

ცინგვინი ეკვატორთან

სინგაპურის დასავლეთით ზღვისპირა კონცხზე გამენებულია ფრინველთა პარკი. აქ არის კინგვიხების კეთხე, აღმოსავლეთ კოხდაციონებული პაეოის დაბადგაოებთ, როდელიც ბატარეკულ ძიკოოკელიმატა ეძნის.

ხელოვნურ სცენაზეში პინგვინები თავს ჩიეიტულად გრძნობენ. ფრინველთა პარკის თანამშრომლები იცდიდ აქვთ, რომ მომავალში პინგვინების ბანლში შთამოაკლობაც გაძლიერდება.

სელაკი აბაზანაში

ამასობით უნგრელს ჰყავს ძაღლები, კუ, ზღვის გოჭები, მგალოიელი ფოინველები. ოოგორც ეტყვიან, ყველაა თავისი გემოვნება აქვა. ამას ყიბათ, მაგალითად, ბეგრს იტტერესი გაუნელდა თუთიყუშეთისადმი. ამავე დროს გაიზაოდა კაკაკაბეი მოყვაოულთა რეცხვი. რა ძოდა, თუ კაჭკაჭს, გალობა არ შეუძლია? აე უკვე ადამიანებს ტექნიკა ეხიარება. მაგინტოფოხის ფიოზე იყვრეს ფრიიკელი ხმებს, შემდეგ აკეთეკენ მოიტაკეს და ჩანაწერს ააფენიენენ ბარგეკეაიძ ინ იმედით, რომ საბოლოოდ მათგან მგალობლებს გამოიყვანეს.

ბუდაკეძტის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ბრეკეაათვის მიმართა ზოოპარკის თანაკმრეოლებს: რა მოვუხერხო პატარა სელაპს, რომელიც აბაზანაში არ ჩერდება და ყოველ წუთს გადმოხტომა უნდა. მას უჩიეს... საბარის ცხოველი ზოოპარკს.

ფერადი ტელევიზორები ცხოველებისათვის

ახალი წლის დღეებში მდიდარ იაპონელებში დიდი ოოკულარობი სარგეალობდა „ოტელები მინაური ცხოველებისათვის“. თუ ადრე კატებისა და ძაღლების მფლობელეი თავს იატვრვედეკენ იმაზე ფიქრით, სად მოეთავაკებინათ ახალი წლის დღეებში ცხოველები, ახლა ეს ამობლეია მხიშვიელოვნად გამარტივდა. ტოკიოს სავეტერინარო საავადყოფოებთან გაიხსნა სასტუმროები ოთხფეხა დამსვენებლებისათვის. ათთ დღეკამეში რადდენჯეიმე აძლევენ საკვედა, ვეტერინარი ექიმი სისტემატიურად ათოწმებს მათს ძდგომარეობას. „ოტელებში“ არის ავრეთვე ლუქსი ნომრები, რომლებშიც სხვა ავეჯთან ერთად ფერადი ტელევიზორებიც დგაა.

დასვენების უფლება...

ტოკიოს გუბერნატორის გადაწყვეტილებით ალიეიდან იაპონიის ზოოპარკების ბინადარნი თვეში ორ დღეს დაისვენებენ ადამიანებისაგან. სპეცი